

რობითა და ხასიათით იმთავითვე **მოიხვევენ პოპულარობას** [უმჯობესია: მოიპოვებენ, ან ტურნირები... იმთავითვე პოპულარული ხდება]“ („თბილ.“); „სწორედ ამ პერიოდში **იხვევს** ჩვენი ღვინო რუსეთში **პოპულარობას** [უმჯობესია: ხდება... ჩვენი ღვინო პოპულარული]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „გფრ-ის ეროვნული ნაკრები გამარჯვებას გამარჯვებაზე **იხვევდა** [უნდა იყოს: აღწევდა]“ („ლელო“).

**მონაწილეობას იღებს — მონაწილეობს.** 1. **მონაწილეობას იღებს** სახელითა და ზმნით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულია — მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვება. წინადადებაში შედგენილი შემასმენლის ფუნქციას ასრულებს. იხმარება ასეთი მნიშვნელობით: მონაწილეა რისაზე, რაზე საქმეში, ღონისძიებაში სხვებთან ერთად მოქმედებს, სადმე სხვებთან ერთად არის, ამ შესიტყვებას აღწერითად ნაწარმოები უღვლილების სრული პარადიგმა აქვს. დრო-კილოთა ჯგუფების (სერიების) მიხედვით საყრდენი ფორმებია: **მონაწილეობას იღებს** (დრო-კილოთა I ჯგუფისათვის), **მონაწილეობა მიიღო** (დრო-კილოთა II ჯგუფისათვის), **მონაწილეობა მიუღია** (დრო-კილოთა III ჯგუფისათვის). შესაბამისად, აქვს როგორც უსრული, ასევე სრული ასპექტის ფორმები. მაგ.: „ოლიმპიურ ასპარეზობებში ამ ქვეყნის ბევრი ცნობილი სპორტსმენი **იღებდა მონაწილეობას**“ („ლელო“); „ევროპის საკლუბო ჩემპიონატში **მონაწილეობა მიიღო 42 გუნდმა**“ („ლელო“).

**მონაწილეობას იღებს** — მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვების გვერდით ენაში იმავე მნიშვნელობით მარტივი ზმნური ფორმა — **მონაწილეობს** დასტურდება. შესიტყვებისაგან განსხვავებით, **მონაწილეობს** ზმნას (საშუალი გვარის სხვა ნასახელარ ზმნათა მსგავსად) დრო-კილოთა მხოლოდ აწმყოს წყების ფორმები აქვს (აწმყო — **მონაწილეობს**, ნამყ. უსრ. — **მონაწილეობდა**, აწმყ. კავშ. — **მონაწილეობდეს**), ისიც უპირატესად მესამე პირისა. მყოფადის წყებისა და დრო-კილოთა II და III ჯგუფის (სერიის) ფორმები მას არ მოეპოვება. შესაბამისად, აქვს მხოლოდ უსრულო ასპექტის ფორმები, სრული ასპექტისა კი — არა. მაგ.: „როგორც წესი, ცისანა ტატიშვილი საპრემიერო წარმოდგენებში **მონაწილეობს**“ („თბილ.“).

ამის მიხედვით, ერთი და იმავე მნიშვნელობით, ერთი და იმავე ფუნქციით **მონაწილეობას იღებს** და **მონაწილეობს** ზმნები მხოლოდ დრო-კილოთა აწმყოს წყებაში შეიძლება ვიხმაროთ (სახელდობრ: აწმყო — **მონაწილეობას იღებს** // **მონაწილეობს**, ნამყო უსრული — **მონაწილეობას იღებდა** // **მონაწილეობდა**, აწმყო კავშირებითი — **მონაწილეობას იღებდეს** // **მონაწილეობდეს**), ისიც, გარკვეული შეზღუდვებით — პირველი სუბიექტური პირის ფორმას მარტივი ზმნისა

**(ვმონაწილეობ)** სალიტერატურო ენა აშკარად აღწერით წარმოებას **(მონაწილეობას ვიღებ)** ამჯობინებს. ეგვე შეიძლება ითქვას მეორე სუბიექტური პირის ფორმის შესახებაც. დრო-კილოთა ყველა სხვა ფორმაში აღწერითი წარმოება **(მონაწილეობას მიიღებს, მონაწილეობა მიიღო, მონაწილეობა მიუღია)** შეუზღუდავად იხმარება.

ზოგჯერ სალიტერატურო ენაში გათვალისწინებული არ არის ის შეზღუდვები, რომლებიც მარტივი **მონაწილეობს** ზმნის გამოყენებას ახლავს, და მას ხმარობენ იქაც, სადაც კონტექსტის მიხედვით მისი გამოყენება გაუმართლებელია. მხედველობაში გვაქვს სხვა ზმნათა ნამყო ძირითადის სრული ასპექტის ფორმებთან **მონაწილეობს** ზმნის ნამყო უსრულის ფორმით გამოყენების შემთხვევები. მაგ.:

„მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგემ, მუდმივი სახელმწიფო კომისიის მდივანმა, პროფესორმა ი. ვიგინეიშვილმა... მოხსენების გამო გამართულ კამათში **მონაწილეობდნენ** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერები ა. შანიძე და ა. ჩიქობავა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. აბაშიძე... მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს გაწეულ მუშაობაზე, აღძრეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ქართული ენის სიწმინდეს და მის შემდგომ განვითარებას“ („გომ.“).

კიდევ ერთი ინფორმაცია: „ქალაქ გაბროვოში საზეიმო ვითარებაში დაიხურა იუმორისა და სატირის მორიგი ეროვნული ფესტივალი. ფესტივალის მრავალრიცხოვან ღონისძიებებში — გამოფენებში, კონკურსებში, კარნავალში **მონაწილეობდნენ** მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები. ცხრა დღის მანძილზე გაბროვოს იუმორისა და სატირის სახლის დარბაზებს 20 ათასზე მეტი კაცი ეწვია“ („თბილ.“).

ასეთი განცხადებები პრესის ფურცლებზე საძებარი არაა. კონტექსტში, სადაც საუბარი უკვე მომხდარი ფაქტის გარშემო მიმდინარეობს და ზმნური გარემოცვაც გადმოსაცემი შინაარსის შესაბამისია — გამოყენებულია ნამყო სრულის ფორმები, რომლებითაც დამთავრებული, დასრულებული, ბოლომდე მიყვანილი მოქმედება გადმოიცემა (გაიმართა, მოეწყო, ჩატარდა, დაიხურა ფესტივალი, კონფერენცია, თათბირი, სემინარი..., რომლებზედაც მოხსენება გააკეთეს, საკითხის გარშემო ისაუბრეს, აზრი გამოთქვეს, საკონცერტო პროგრამით გამოვიდნენ...), გამოერევა ხოლმე **მონაწილეობდნენ** — ნამყო უსრუ-

ლის ფორმა, რომლითაც დაუმთავრებელი, დაუსრულებელი, ბოლომდე მიუყვანელი მოქმედება გადმოიცემა და რომელსაც აშკარა დისონანსი შეაქვს თხრობაში.

დროული თანამიმდევრობის დასაცავად, რაც სათქმელის ზუსტად გადმოცემის შესაძლებლობას მოგვცემს, აუცილებელია **მონაწილეობს** ზმნის ნამყო უსრულის ფორმის ნაცვლად **მონაწილეობას** მიიღებს — სახელურ-ზმნური შესიტყვების ნამყო სრულის ფორმის გამოყენება: კამათში **მონაწილეობა მიიღეს** (და არა: მონაწილეობდნენ), კარნავალში **მონაწილეობა მიიღეს** (და არა: მონაწილეობდნენ) და მისთ.

რაც შეეხება **მონაწილეობდა** ფორმას, იგი თავის ფუნქციას შეასრულებს ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც საჭირო იქნება წარსულში მიმდინარე განმეორებადი მოქმედების გადმოცემა: **მონაწილეობდა** (// **მონაწილეობას იღებდა**) პარტიზანულ მოძრაობაში, ლენინურ შაბათობებში...

ქართულში სახელითა და ზმნით შედგენილ კონსტრუქციებთან (სახელურ-ზმნურ შესიტყვებებთან) შედარებით უპირატესობა მარტივ ზმნურ ფორმებს ენიჭება, მაგრამ ყოველთვის, ცხადია, — არა. ყველა სახელურ-ზმნური შესიტყვება უნდობლობას არ იმსახურებს — დიდი ნაწილი აღწერიითა და ნაწარმოებში ზმნებისა ენის ბუნებრივი სიტყვაწარმოებითი ტენდენციების შესატყვისია და ისინი ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენენ. სახელურ-ზმნურ შესიტყვებებზე უარის თქმა მარტივი ზმნის სასარგებლოდ (მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ფორმა არ არის კონტექსტის შესაფერისი), საკითხის ცალმხრივად და უმართებულოდ გადაწყვეტის ცდად უნდა შეფასდეს.

2. **მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს)** შესიტყვების წევრად -ში თანდებულისა სახელს ითხოვს. გრამატიკულად მართებული შესიტყვებებია **მონაწილეობას იღებდა (მონაწილეობდა)** მუშათა მოძრაობაში, სოფლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდ სამამულო ომში, სპექტაკლში, კონკურსში, გამოფენაში, ბაზრობაში, კამათში, ყრილობის მუშაობაში... მაგ.: „**მონაწილეობას მივიღებ** საბჭოთა კავშირის პირველობაში“ („კომ.“); „და აი, ამჯერად თქვენ **მონაწილეობას იღებთ** ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადაში“ („ახ. კომ.“); „პოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეში მიმდინარეობს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც **მონაწილეობენ** დიდოსტატები ლ. ლიუბოვეიჩი, ბ. კურაიცა“... („ლელო“); „უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც გ. თითობაძე **მონაწილეობს** ყველა საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენაში“ („წიგნ. სამყ.“).

**მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს)** ზმნურ ფორმებთან ენაში ვაბატონებული -ში თანდებულიანი კონსტრუქციის გვერდით -ზე თანდებულიანი კონსტრუქციებიც გვხვდება. -ზე თანდებულიანი კონსტრუქციები სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმისაგან გადახრად უნდა შეფასდეს და უპირატესობა ყველა შემთხვევაში -ში თანდებულიანი კონსტრუქციებს მიენიჭოს. მაგ.: „საბჭოთა კავშირი **მონაწილეობს** ყველა საერთაშორისო გამოფენასა და **ბაზრობაზე** [უნდა იყოს: ბაზრობაში]“ („სამშ.“); „ყველა ამ **გამოფენაზე** [უნდა იყოს: გამოფენაში] საბჭოთა საქართველოც მონაწილეობს“ („სამშ.“); „მოზარდი, რომელსაც 18 წელი შეუსრულდება აგვისტომდე, **მონაწილეობას ვერ მიიღებს** ჭაბუკთა პირველობებზე [უნდა იყოს: პირველობებში]“ („ლელო“); „სან-რემოს **კინოფესტივალზე** [უნდა იყოს: კინოფესტივალში] ოცდახუთი ქვეყანა და ამდენივე მხატვრული ფილმი **მონაწილეობდა** („კრმ.“); „ავგიაზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწესებულ თუ განახლებულ ამ **ასპარეზობაზე** [უნდა იყოს: ასპარეზობაში] თვით ჰერაკლე **იღებდა მონაწილეობას**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „რასაკვირველია, სასიხარულო და მისასალმებელი იქნებოდა, რომ მსოფლიო **ჩემპიონატზე** [უნდა იყოს: ჩემპიონატში] **მონაწილეობა მიეღო 9-10 გუნდს**“ („თბილ.“).

იხ. აგრ. -ზე/-ში.

**მონოტონური** უცხო წარმომავლობის ფუძისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მონოტონია (ბერძნ. monotonia) — ტონის ან ინტონაციის ერთფეროვნება. **მონოტონური** — ერთფეროვანი, მოსაწყენი. ეს ზედსართავი ისეთ სახელებთან ქმნის ბუნებრივ, სემანტიკურად სწორ შესიტყვებას, რომლებიც რაიმე ხმას გამოსცემენ; ახასიათებთ ტემბრი, რიტმი, ტონი. **მონოტონური** შეიძლება იყოს: ხმა, ხმაური (გუგუნი), სიმღერა, ტირილი (კვილიც), კითხვა, საუბარი... მაგალითად: „ქოშები ქეაფენილს ეხეთქებოდნენ და მკვეთრ **მონოტონურ ხმას** გამოსცემდნენ“ (ს. დემურხ.); „**მონოტონური დარტყმისა** და შეშის ჩეხვის ხმა აღიზიანებდა თინას“ (ნ. ონაშვ.); „მანქანის **მონოტონური გუგუნი** არ სიამოვნებდა ბეთანელს“ (ს. კლდ.); „ბავშვი უნაღლოდ, **მონოტონურად ტიროდა**“ (თ. ბიბილ.).

ამ სიტყვის (ისევე როგორც უცხო წარმომავლობის სხვა სიტყვების) ხშირი ხმარების შედეგად მისი მნიშვნელობა დაშორდა პირვანდელს და ეს ზედსართავი დაუწყვილდა სიტყვებს, რომლებსაც მსაზღვრელად ეგუება **მონოტონურის** ქართული სინონიმები — **მოსაწყენი, ერთფეროვანი, მომაბეზრებელი, არაფრის მთქმელი, მშრალი**, თვით **მონოტონური** კი — არა! მაგალითად: „ა. სულაკაურის პროზა არ ხასიათდება თხრობის **მონოტონური** [აჯობებდა: ერთფეროვანი] განვი-

თარებით“ („მნათ.“); „ზოგიერთ ნაწარმოებში შესამჩნევია ადამიანსა და სამყაროზე **მონოტონური** [აჯობებდა: ერთფეროვანი, მშრალი] მსჯელობა“ („ლიტ. საქ.“); „თვით კონკრეტული თემის მიმართაც კი იქმნება **მონოტონურობის** [აჯობებდა: ერთფეროვნების] საფრთხე“ („მნათ.“)... კიდევ უფრო არაბუნებრივი, ფსევდომხატვრული შესიტყვებაა **მონოტონური ციფრები**: „ერთი შეხედვით ამ მშრალსა და **მონოტონურ ციფრებში** დიდი გარჯა-შრომა, ღრმა აზრი და მომავლის ფართო პერსპექტივებია ჩაქსოვილი“ („თბილ.“). ამ წინადადებაში, რომელიც მთლიანად გაუმართავია სტილისტიკურად, **მონოტონური** შეუფერებელი და ზედმეტი მსაზღვრელია. აქ ზომ იმის ხაზგასმა უნდა იყოს, რომ ეს ციფრები არაფრის მთქმელია. მსაზღვრელი **მშრალი** კი სწორედ ამას გვიჩვენებს. შდრ. გ. ტაბ.: „...მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა: **მშრალ რიცხვების** ამარა უდაბნოში ღელდება!..“

**მოსწავლე — მოწაფე — უმჯირღი. მოსწავლე** არის ის, ვინც სწავლობს საშუალო ან უმაღლეს სასწავლებელში (მოწაფე ან სტუდენტი); **მოწაფე** დაწყებითი ან საშუალო სკოლის მოსწავლეა, **სტუდენტი** — უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე (განმარტებები მოყვანილია ქველ-ის მიხედვით. შდრ. აგრ. ამ თვალსაზრისით ს. ი. ოქეგოვის СРЯ: Учащийся—ученик, студент; Ученик—тот, кто учится в школе; Студент—учащийся высшего учебного заведения).

ამ განმარტებათა შესაბამისად, **მოსწავლედ** ითქმის ყველა, ვინც **სწავლობს**. მაგრამ იმის მიხედვით, თუ **სად სწავლობს**, იგი შეიძლება იყოს **მოწაფე** (ე. ი. საშუალო სკოლის მოსწავლე) ან **სტუდენტი** (ე. ი. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე). **მოსწავლე** (учащийся) ფართო მნიშვნელობის მქონე ცნებაა და იგი **მოწაფესაც** მოიცავს და **სტუდენტსაც**.

1. თანამედროვე ქართულში **მოსწავლის** გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებული ვითარება შეინიშნება. **მოსწავლის** სემანტიკა საგრძნობლად დავიწროვდა და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი მხოლოდ **მოწაფის** მნიშვნელობით იხმარება, ამასთან, არა როგორც სინონიმი, არამედ როგორც ერთადერთი და მართებული სახელი. სასკოლო ცხოვრების ამსახველ ლექსიკაში ბუნებრივი და გაბატონებული შესიტყვებებია: სკოლის მოსწავლე, V კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა აღრიცხვის ყურნალი, მოსწავლეთა სია, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლის ფორმა, მოსწავლის ჩანთა, მოსწავლეთა არდადეგები და სხვ. ამ შესიტყვებებში **მოსწავლის** ნაცვლად **მოწაფის** ხმარება დღეს ანაქრონიზმად აღიქმება.

**მოწაფე** აქა-იქლა შემორჩა. მაგ.: მასწავლებელი და მოწაფე; და-მოკიდებულება, ურთიერთობა მასწავლებლისა და მოწაფისა; ყოფილი

მოწაფე; მოწაფური ხელი (გაუწაფავი ხელი); მოწაფური პასუხი; მოწაფური მიდგომა საკითხისადმი (დამოუკიდებლობას, შემოქმედებით აზრს მოკლებული მიდგომა); ნამოწაფარი; მოწაფეობისდროინდელი. არასწორად უხმარიათ **მოსწავლე** ასეთ კონტექსტში: „მისი ყოფილი **მოსწავლეები** [უნდა იყოს: მოწაფეები] მისი მაღლით წარმართავენ დღევანდელ ცხოვრებას“ („კომ.“).

2. ზემოთ დასახელებულის გარდა, **მოწაფეს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს. **მოსწავლე** ცდილობს **მოწაფის** სხვა მნიშვნელობათა ხარჯზეც გაითვითოს გამოყენების არე, რაც არ არის მიზანშეწონილი.

გადატანითი მნიშვნელობით **მოწაფე** არის ვისიმე მოძღვრების ან პრაქტიკულა საქმიანობის მიმდევარი, გამგრძელებელი; ვინც ვისიმე ხელმძღვანელობით დაეუფლა რასმე. მაგ.: დიმიტრი უზნაძის მოწაფეები, ივანე ბერიტაშვილის მოწაფეები, ანასტასია ვირსალაძის მოწაფე... დაუშვებელია ამ მნიშვნელობით **მოსწავლის** ხმარება ასეთ კონტექსტებში: „ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა და მისი **მოსწავლეები** [უნდა იყოს: მოწაფეები] სწავლობდნენ რიცხვთა გაყოფადობის საკითხებს“ (მათემ. V); „მამას, როგორც ჩანს, ჰქონდა ის მოქალაქეობრივი გრძნობა, რომელიც აუცილებელია ყოველი საქმის წინსვლისათვის — **მოსწავლისათვის** [უნდა იყოს: მოწაფისათვის] გზის დროულად დათმობა. მას ეამაყებოდა და ახარებდა, რომ მისი აღზრდილის — ა. დუმბაძის მიერ შექმნილმა შრიფტებმა ესოდენ მყარად დაიმკვიდრა ადგილი მისი შრიფტების გვერდით“ („სამშ.“); „[ესაუბრებიან ვერა წიგნაძეს] — თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში აღარ ასწავლით, ხომ? — არა. უკვე თეატრის საბალეტო დასთან ვმუშაობ. მიხარია, რომ ბევრი ჩემი **მოსწავლის** [უნდა იყოს: მოწაფის] გვერდით ისევ მიწევს მეცადინეობა“ („კომ.“).

3. **მოწაფე** კიდევ ერთი — **შეგირდის** მნიშვნელობითაც იხმარება. **შეგირდი** არის მოსწავლე, რომელიც რაიმე ხელობას სწავლობს ხელოსანთან, ოსტატთან. ამ მნიშვნელობით **მოწაფე** და **შეგირდი** სინონიმური სიტყვებია (თუმცა ნეიტრალურ კონტექსტებში **მოწაფის** გამოყენებას ამჯობინებენ, **შეგირდმა** კი თანამედროვე ქართულში სტილისტიკური შეფერილობა მიიღო). **მოწაფის** ან **შეგირდის** მნიშვნელობით **მოსწავლის** გამოყენება მიზანშეწონილი არ არის: „ზეინკლის **მოსწავლე** [უნდა იყოს: მოწაფე] თვეში 71,35 მანეთს იღებდა“ (მათემ. IV); „[სურათზე] ოსტატი ი. ჯანიაშვილი **მოსწავლეებთან** [უნდა იყოს: მოწაფეებთან ან შეგირდებთან]“ („თბილ.“); „ზეინკალმა და მისმა **მოსწავლემ** [უნდა იყოს: მოწაფემ] დაამზადა დეტალების 30%“ (მათემ. IV).

მეორე მხრივ, **მოწაფე** არის ყველა, ვინც ვისიმე ხელმძღვანელობით ეუფლება რასმე — მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს, ხელოვნებას... სრულყოფს თავის ცოდნას, ოსტატობას მეცნიერების, ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. **შეგირდი** მხოლოდ ხელობას **სწავლობს**. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სიტყვის გამოყენების სფერო **მოწაფესთან** შედარებით შეზღუდული იყოს. მაგრამ თანამედროვე ქართულში არის ცდა **შეგირდის** ერთგვარი სტილისტიკური მალაღმარდოვნების ნიუანსით შეფერვა-გაცოცხლებაა და, შესაბამისად, მისი მოხმარების არის გაფართოებისა. მაგ.; გაზ. „ლელოში“ იბეჭდება სტატიები მწვრთნელებისა და მათი მოწაფეების, აღზრდილების შესახებ რუბრიკით—„ოსტატი და შეგირდი“. გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას ამგვარი სტილისტიკურა დანიშნულების გარეშე **მოწაფისა** და **აღზრდილის** ნაცვლად **შეგირდის** გამოყენება სასურველი არ არის.

**მოუთხრობს** ზმნა ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება უშუალოდ თხრობის გადმოსაცემად, რასაც, ჩვეულებრივ, **უამბობს** (იხ.) ზმნა აღნიშნავს.

**მოუხვამ მან**. მოუყვება, მოუყვა „მეტყველება-წრის“ ზმნების მრავალრიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება. მასში შემავალი ზმნები წარმოშობით სხვადასხვა დროის წარმონაქმნი და სხვადასხვა ენის შემონატანია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი გრამატიკული აგებულებითაც განსხვავებულია. ზოგი მოქმედებითი გვარისაა და გარდამავალია, ზოგიც — საშუალო ან ვნებითი გვარისა — გარდაუვალი. ამის მიხედვით აღნიშნულ ზმნებს სხვადასხვა რაოდენობისა და რაგვარობის პირი შეეწყობა: ზოგს მხოლოდ სუბიექტი, ზოგს — სუბიექტი და ერთ-ერთი ობიექტი, ზოგს კიდევ — სუბიექტიც და ორივე ობიექტი. ეს გარემოება განსაზღვრავს ამა თუ იმ ბრუნვაში მათს დასმას და ცვალებას სათანადო ზმნის დრო-კილოთა სერების ცვლის კვალობაზე.

მაგრამ სემანტიკური სიახლოვის გამო აგებულებით განსხვავებული ზოგიერთი ზმნა მისი სინონიმური ზმნისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციას სესხულობს, რაც ენობრივი, კერძოდ კი სინტაქსური დარღვევის ერთ-ერთი წყარო ხდება. ასე, მაგალითად, **მოუყვება** ზმნა სამპირიანია (იგი მას მას), მაგრამ გარდაუვალი: ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტი მუდამ სახელობითში დგას, ობიექტი კი — მიცემითში.

სემანტიკური და ზოგი გრამატიკული ნიშნის მიხედვით, კერძოდ, პირთა რაოდენობისა და საობიექტო ქცევის ნიშნის მიხედვით გარდაუვალი ზმნა **მოუყვება** ემსგავსება **უამბობს**, **მოუთხრობს**... გარდა-

მაელ ზმნებს, რომელთა ანალოგიით დრო-კილოთა II წყებაში ირ-  
ლევია ამ ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია, მაგ.: „გრაფინია რეისმა  
კი ანას ისე, სხვათა შორის, მოუყვა, კნენია ლიტუბომირსკაიამ მეფის  
გული როგორ მოინადირა“ (გ. შალამბ., თარგმ.); „აღვინმა მოუყვა,  
თუ როგორ იბოვეს მის ჰიუსონი“ (ნ. ძოწ., თარგმ.); „ძვირთასი ნაკე-  
თობის შესახებ იცოდა მის ჰიუსონმა, რომელმაც, უეჭველია, მოუყვა  
ამას...“ (ნ. ძოწ., თარგმ.); „და მან თავისებური გარკვეულობით მოკ-  
ლედ მოუყვა ლევინს ეს ახალი, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერე-  
სო აღმოჩენები“ (თ. საყვ. და ლ. ტიტვ., თარგმ.); „რაიმუნდმა ანას  
დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი...“ (გ. შალამბ., თარგმ.); „ქვრივმა  
კი მაშინვე მომიყვა ეს“ (ნ. ძოწ., თარგმ.).

ყველა მოყვანილ წინადადებაში სუბიექტი სახელობითში უნდა  
იღგეს, ობიექტი კი — მიცემითში. სწორი ხმარებისათვის შდრ.: „მო-  
ნადირე მღვდელს მოუყვა თავის... თავგადასავალს“ (ვაჟა).

**მოუშვება** და **უამბობს** ზმნათა სემანტიკური ნიუანსების შესა-  
ხებ იხ. **უამბობს** — **მოუთხრობს** — **მოუყვება**.

**მოუწევს** ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მათგან ზოგი  
მნიშვნელობით ეს სიტყვა სალიტერატურო ენაში მტკიცედაა დამკვი-  
დრებული (1. მოსწევს მისას ან მისკენ; 2. მოაღწევს), სხვა მნიშვნე-  
ლობით კი — შეხვდება, ერგება, მოუხდება — ძირითადად სასაუბრო  
მეტყველებაშია გავრცელებული. ამ შემთხვევაში სალიტერატურო ენა  
ამჯობინებს ზმნას **მოუხდება** (**მოუხდა**): „მოულოდნელად ქალაქს მო-  
მიხდა წასვლა“ (ეკ. ვაბ.); „შიშის ერთ თავადიშვილთან მოუხდა მუ-  
შაობა“ (ვაჟა); „ბრძოლა მოხელესთან დარეჯანს თავისი შვილის გა-  
მახარეს თაობაზე მოუხდა“ (ვაჟა).

ზმნური ფორმები **მოუწევს**, **მოუწია** აღნიშნული მნიშვნელობით  
დასავლურქართული კილოების შემონატანი უნდა იყოს. სალიტერა-  
ტურო ენაში, ჩვეულებრივ, მათი ხმარება პერსონაჟთა მეტყველებით  
შემოიფარგლება. მაგ.: „დიდხანს მოგვიწევს შენი ცდა-მოლოდინი“  
(ქ. ლომთ.); „ახლა-კი მე მომიწევს ზრუნვა სხვაზე“ (ი. ქაჯე.).

მაგრამ უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობასა და, განსა-  
კუთრებით, პრესაში ლიტერატურული ვარიანტი **მოუხდება** (**მოუხდა**)  
არამცთუ აჭარბებს ხმარების სიხშირის თვალსაზრისით სასაუბრო ვა-  
რიანტს, არამედ ამ უკანასკნელს მეტოქეობასაც კი ვერ უწევს და პრა-  
ქტიკულად გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. მისი აღგილი, შეიძლე-  
ბა ითქვას, მთლიანად სასაუბრო **მოუწევს** (**მოუწია**) ვარიანტმა დაიკა-  
ვა, ამასთან, არა მარტო პერსონაჟთა მეტყველებაში, არამედ ავტორი-  
სეულ თხრობაშიც. შდრ.: „სამი თვის შემდეგ კვლავ მომიწია კოროვ-  
ლიოვთან შეხვედრამ“ („ლელო“); „მგონი უკვე მეოთხედ მიწევს



სტრინდბერგის შესახებ საუბარი“ („ლიტ. საქ.“); „ათი დღე მთაში მომიწია ყოფნამ, კოსმოსური სხივების ლაბორატორიაში“ („ცისკ.“); „გვეგონა, რომ მეორეული ლითონის დამზადებაზე გაუთავებელი ლაპარაკი წლებულს მაინც აღარ მოგვიწევდა...“ („კომ.“); „...ამას წინათ ერთ ახალგაზრდა კაცთან საუბარმა მოგვიწია, რომელმაც თავისი სიცოცხლის ოცდაორი წლის მანძილზე მოასწრო მიიმე დანაშაულის ჩადენა („თბილ.“); „სამაგიეროდ, ჩვენ გვიწევს კიბეზე მუხლების გაძლიერებული ვარჯიში“ („თბილ.“); „თეატრის ხელოვნება... მისი აზრით, — მომავლადვი ხელოვნებაა, რის გამოც ოდესმე... თეატრებს დახურვა მოუწევთ“ („ლიტ. საქ.“); „ბოლო დროს ამ ნიჟიერ მსახიობ ქალს ძლიერი, მაგრამ ერთმანეთის მსგავსი როლების თამაში უწევს“ („თბილ.“).

**ზმნების მოუხდება, მოუწევს** ამგვარი შენაცვლება სასაუბრო ვარიანტის სასარგებლოდ უნდა აიხსნას სალიტერატურო ენის ერთგვარად სტიქიური „დემოკრატიზაციის“ თანამედროვე ტენდენციებით. ეს ტენდენციები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება პრესის ენაში — სხვადასხვა საუბრისა და ინტერვიუს მასალების გამომხეურებასთან დაკავშირებით. შენაცვლების საჭიროების მოტივის ახსნისას არც ის უნდა იყოს დაეიწყებული, რომ ლიტერატურული ფორმა **მოუხდება (მოუხდა)** ცალსახა მნიშვნელობისა არ არის და შეიძლება შექმნილიყო ორაზროვნება (1. = მოუწევს; 2. = დამშვენდება), თუმცა კონტექსტი სემანტიკური დიფერენცირების საშუალებას ყოველთვის იძლევა: სასაუბრო ვარიანტში კი ამგვარი ორაზროვნება არ იგულისხმება.

**მოუწევს** ზმნის ხმარებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი სინტაქსური თავისებურებაც: დრო-კილოთა პირველი წყების ფორმებთან შეწყობილი სუბიექტ-ობიექტის ბრუნვები შესაბამისად არის სახელობითი და მიცემითი: **მოუწევს მას იგი** (პირდაპირი ობიექტი არა აქვს); მეორე წყების ფორმებთან კი — მოთხრობითი და მიცემითი: **მოუწია მან მას**. მაგრამ ზოგჯერ **მოუწია ზმნა** იმეორებს თავისი სინონიმის — **მოუხდა** ზმნის სინტაქსურ კონსტრუქციას: **მოუხდა მას ის**, სადაც სუბიექტ-ობიექტი სახელობითისა და მიცემითში დგას, ნაცვლად მოთხრობითისა და მიცემითისა: „ფეხბურთელებს ერთობ ცუდ ამინდში, ატალახებულ მოედანზე მოუწიათ თამაში [უნდა იყოს: მოუხდათ თამაში, ან, სასაუბრო მეტყველებაში: მოუწიათ თამაშმა]“ („კომ.“).

საერთოდ კი **მოუწევს, მოუწია** ვარიანტებთან შედარებით სალიტერატურო ენაში უპირატესობა უნდა მიეცეს ლიტერატურულსავე ვარიანტებს — **მოუხდება, მოუხდა**. სასაუბრო ვარიანტები შესა-



ყენების შესახებ / პრაქტიკულ გამოყენებაზე საუბარია, მოთხრობი-  
ლია] სტატიაში...“ („უე სკოლაში“); „ახლა კლასს ვუჩვენებ სურათს,  
რომელზედაც ოთახია მოცემული [უნდა იყოს: ნაჩვენებია ოთახი]“  
(„უე სკოლაში“).

**მოწაფე, მოსწავლე და შეგირდი** სინონიმური მნიშვნელობის  
მქონე სიტყვებია. სალიტერატურო ენაში მათი ადგილის შესახებ ის.  
**მოსწავლე — მოწაფე — შეგირდი.**

**მოწეული.** სიტყვა **მოწეული** წარმოადგენს მიმღეობას, რომე-  
ლიც ნაწარმოებია ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნისაგან — **მოიწე-**  
**ვა.** მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა: დამწიფდება, შემოვა (ნაყოფი);  
მოქმედებითი გვარის ფორმა **მოიწევს**: მოიყვანს, მიიღებს მოსავალს.  
მაგ: „ისეთი მოსავალი **მოიწიეს** ყანებიდან და ბაღ-ვენახებიდან, რომ  
ხუთი წლისას სჯობდა“ (ბ. ჩხ.). ზოგჯერ მოქმედებითი გვარის ფორმა  
ენაცვლება ვნებითისას — **მოიწევა**: „იცით, როდის ჯობია თქვენთვის  
იქ წამოსვლა? თხილი რომ **მოიწევს**, მაშინ“ (ვ. ბარნ.).

ამოსავალი ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე, მიმღეობა **მოწეუ-**  
**ლის** მნიშვნელობაა: რაც მოიწია, — დამწიფებული, შემოსული ნაყო-  
ფი. მაგ: „**მოწეული** ბროწეული რა ყოფილა, ჩამავალ მზით დაქრი-  
ლი და დაისრული!“ (ს. ჩიქ.); „კარგად **მოწეული** მაცვალი... ხელით  
ამოჰყლიტეთ“ (ბ. ჯორჯ.); „სვერის გამონაწურს ღვინოს არ ეძა-  
ხიან, ღვინო კარგად **მოწეულმა** ყურძენმა იცის“ (დ. მაჩხ.).

ეგვე სიტყვა ქმნის ბუნებრივ შესიტყვებას არსებით სახელებ-  
თან — **მოსავალი** და **ჭირნახული**: „ცოლ-ქმარს... **მოწეული** **ჭირნახუ-**  
**ლი** წლიდან-წლამდე ჰყოფნიდა სარჩოდ“ (რ. გვეტ.); „მეცარი კონ-  
ტროლი დაეუწესოთ **მოწეული** **მოსავლის** დაცვა-შენახვას“ („კომ.“).

მაშასადამე, **მოწეული** შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მწიფ-  
დება, — ნაყოფი (სულერთია, ნათესი კულტურა იქნება ის თუ ნარ-  
გავი). ამიტომ **მოწეული** არ შეიძლება ახსიათებდეს პროდუქტს, ნა-  
ყოფისაგან დაყენებულ, მომზადებულ საქმელ-სასმელს: მოხარშულს,  
შემწვარს, გამომცხვარს, მაგ., პურს, მჭადს... მურაბას, ჯემს... წვენს,  
კომპოტს, ღვინოს, არაყს და ა. შ.

სწორედ ამიტომ ლექსიკურ დარღვევად უნდა შეფასდეს შესი-  
ტყვებები **მოწეული** **სასმელი** და **მოწეული** **ღვინო**. შდრ.: „სამონას-  
ტრო კომლექსის წინამძღვარმა იქვე მიგვიწვია თავის რეზიდენცია-  
ში და გრიგოლ ბაკურიანისეულ მამულში **მოწეული** **სასმელით** გაგვი-  
მასპინძლდა“ („კომ.“); „ყურძნის მოსავალი მობინადრეებს მეზო-  
ბლურად გაუნაწილებიათ, დაუწურავთ და თავიანთ ეზოში **მოწეულ**  
**ღვინოს** შეეჩქვიან“ („თბილ.“). კონტექსტებში შესაბამისად იგულის-  
ხმება მამულში (ე. ი. ვენახში), ეზოში **მოწეული** **ყურძნისაგან** დამ-

ზადებული სასმელი — წვენი, ღვინო... ამ აუცილებელი გამაშუალებელი სიტყვის — **უფრძის** — გარეშე უაზრობა იქმნება და მის გამოტოვებას ვერავითარი შემოკლების სურვილი ვერ გაამართლებს.

**მოწყალეობას მიიღებს. მოწყალეობას** ძველ ქართულ ენაში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. მათგან ერთ-ერთი იყო „მთხოვართათვის მისაცემი, გასაკითხი“ (საბა, ძქელ). ახალ ქართულში გაფართოვდა ამ სიტყვის მოხმარების სფერო და იგი გამოიყენება ზოგადად წყალობის, დახმარების, სიკეთის მნიშვნელობით.

აღნიშნულ სახელს ქართულში რამდენიმე ზმნა უკავშირდება და მიიღება ბუნებრივი შესიტყვებები: **მოწყალეობა გაიღო, მოწყალეობა გასცა, გაიმეტა, დაურიგა,...** ითხოვა, მიიღო და სხვ. ილუსტრაციები მხატვრული ლიტერატურიდან: „ეს იყო პირველად და უკანასკნელად მისგან **გაღებული მოწყალეობა**“ (ვაჟა); „ისე **გაეცი მოწყალეობა**, რომ მარცხენამან შენმან არ იცოდეს, რას **შვება მარჯვენეო**“ (ს. შვალ.); „**მე მოწყალეობას ჩემს დღეში არ ვიძლევი**“ (ნ. ლორთქ.); „**რადგანაც მოწყალეობა უხვად გაიმეტე**, მართალს გეტყვი, — უბასუხა მთხოვარმა“ (ი. გოგ.); „**სეფე-წული და ეთერი... მეფურად... ურიგებენ მოწყალეობას ყველას**“ (შ. არაგვ.); „**მეც სუსტი ვარ... ვითხოვ მოწყალეობას**“ (ეკ. ვაბ.); „**განა მოწყალეობა მარტო ქვრივისაგან მიიღება?**“ (ეკ. ვაბ.)...

**მოწყალეობა**-სთან ბუნებრივ წყვილს ქმნის აგრეთვე ზმნა **მოიღო**, რომელიც ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა (იხ. ძქელ), თანამედროვე ქართულში კი სულ ორიოდ გამოთქმაშია შემორჩენილი (იხ. ქეგლ). **მოწყალეობას მოიღებს** მყარი შესიტყვებაა, ფიგურალური გამოთქმაა და ნიშნავს: შეიწყალებს, კეთილად მოეციდება რასმე, კეთილს ინებებს. მაგ.: „**მხოლოდ ერთადერთი მოწყალეობა მოიღო საწყალს ყმაწვილზე**“ (ი. გოგ.); „**ღმერთს მოწყალეობა მოეღო მელის თავზე**“ (ვაჟა); „**ერთი მოწყალეობა მოიღოს ამ ჩვენმა ავტორმა და გვირგენოს...**“ (ილია); „...**ერთი სიტყვა აქვს სათქმელი, მოუსმინე, მოიღე მოწყალეობა**“ (ვაჟა); „...**მომიტევეთ, მოიღეთ მოწყალეობა** — უთხრა მათიას ყაზანმა“ (ა. ყაზბ.) და მისთ. მაგრამ, როგორც ჩანს, **მოიღო** ზმნის მნიშვნელობა ყოველთვის ნათელი არ არის, გაბუნდოვანებულია, რის შედეგადაც ამ მყარ გამოთქმაში უმართებულოდ იცვლება ზმნა და ვიღებთ კონტექსტისათვის შეუსაბამო გამოთქმას **მოწყალეობა მიიღო**. მაგალითად: „**რამდენიმე მთიული „ბატონს“ ელოდა, რომელსაც უნდა მოწყალეობა მიეღო და მოესმინა იმისი საჩივარი**“ (ა. ყაზბ.); „**სასამართლომ მხედველობაში მიიღო გიგიას სრული უვიცობა და ვითომ მოწყალეობა მიიღო, რვა წლით კატორღა გადაუწყვიტა**“ (ი. გვდევ.); „**ერთადერთი საშუალება შეიძლება ის იყოს,**

რომ... „დასჯილმა“ ბოლოსდაბოლოს შეიძლება ინებოს, „მოწყალე-  
ბა“ მიიღოს და სესხი უკან დააბრუნოს“ („თბილ.“); „ამ სამყაროს  
მაცდუნებელი სიმბოლო ზომ არ არის ის ვეებერთელა თეთრი ლაინე-  
რი, თბილისის აეროდრომის გაშლილ მოედანზე რომ მიიღო მოწყა-  
ლება და დროებით დაიღო ბინა“ („კომ.“); „მოწყალებას ვინ მიიღებს,  
მისი ჭირიმე“, — ისმის თანამედროვე ქართულ საესტრადო სიმღერა-  
შიც.

ქართული სწორმეტყველებისა და მართლწერის თვალსაზრისით  
აღნიშნულ მყარ გამოთქმაში მოიღო ზმნის შეცვლა სრულიად განსხვავ-  
ებული სემანტიკის მიიღო ზმნით დაუშვებელია. უნდა ყოფილიყო:  
...რომელსაც უნდა მოწყალება მოეღო..., ...ვითომ მოწყალება მოი-  
ღო..., შეიძლება ინებოს, მოწყალება მოიღოს..., მოედანზე რომ მოი-  
ღო მოწყალება...; მოწყალებას ვინ მიიღებს...

**მრავალი.** გაურკვეველი სიმრავლის გამომხატველი ამ ზედსარ-  
თავი სახელის გამოყენების შესახებ იხ. ბევრი — მრავალი — დიდი.

**მრავალრიცხოვანი — დიდი.** ზედსართავი სახელი მრავალ-  
რიცხოვანი ქართულში გამოიყენება მსაზღვრელად რიცხობრივად ბევ-  
რი, დიდი რაოდენობის ერთგვარი საგნების აღმნიშვნელ (კრებითი  
შინაარსის მქონე) სიტყვებთან: მაგ.: „ბნელ ღამეში გუნდმა მოიგერია  
მრავალრიცხოვანი მტერი“ (დ. კლდ.) „იგი ვინოში ცხოვრობს  
მრავალრიცხოვანი ოჯახით“ (ფ. ხალვ.); „ნაპოლეონი თავისი მრავალ-  
რიცხოვანი შტაბით გარეთ გამოვიდა“ (რ. ჯაფარ.) და სხვ.

ეს სიტყვა აგებულებით რთულია: მრავალ+რიცხ(ვ)-ოვანი-  
მრავალ- სიტყვაც ძირითადად იმასვე აღნიშნავს, რასაც მრავალრიცხო-  
ვანი. მრავალი არის დიდი რაოდენობისა, ბევრი. აქაც რიცხობრივი  
სიმრავლე იგულისხმება. ამგვარი წარმოება მცირერიცხოვანის ანა-  
ლოგიით უნდა დამკვიდრებულიყო, რადგან მცირე-ში რიცხობრივი  
სიმცირის მნიშვნელობა მიღებულია და წინ არის წამოწყებული ზომით  
სიმცირის მნიშვნელობა. ამიტომ რაოდენობრივად მცირე-ს აღსანიშნა-  
ვად გამოყენებულ იქნა მცირერიცხოვანი, ამის ანალოგიით კი გაჩნდა  
მრავალრიცხოვანიც.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში ამ მსაზღვ-  
რელთა შემცველი შესიტყვებები მრავალრიცხოვანი მტერი და მრავა-  
ლი მტერი შინაარსობრივ სხვადასხვაობასაც ასახავენ. მაგ., შეიძლება  
ერთსა და იმავეს არ ნიშნავდეს, ვთქვათ: საქართველოს მრავალი მტე-  
რი ჰყავდა და მრავალრიცხოვანი მტერი ჰყავდა. არ არის აუცილებე-  
ლი მრავალი მტერი მრავალრიცხოვანიც ყოფილიყო. მაშასადამე,  
მრავალრიცხოვანი ყველანაირ სიტყვასთან არ გამოდგება მსაზღვრე-

ლად. კერძოდ, არ გამოდგება ის ისეთ შემთხვევაში, როცა არსებით სახელს არ ახლავს სიმრავლის სემანტიკა.

ზოგიერთ სახელმძღვანელოში მრავალრიცხოვანი უხმარიათ ცდის მსაზღვრელად: „მრავალრიცხოვანი ცდით დადგენილია...“ „მრავალრიცხოვანი და რთული ცდით დადგინდა ერთი და იმავე ნივთიერების მოლეკულების ერთნაირობა“ (ფიზ. VI). რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოს დეჟანშია: *многочисленные опыты*. შესიტყვება *многочисленные опыты* რუსულში ბუნებრივი და აზრობრივად გამართულიც რომ იყოს, შესაბამისი ქართული შესიტყვების არაბუნებრიობისაგან ეს ვერ გვაზღვევს. ქართულისათვის ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა ამ შემთხვევაში: მრავალი ცდა („მრავალი ცდით დადგენილია“).

მრავალ-სიტყვისაგან განსხვავებით, მრავალრიცხოვანი მსაზღვრელად ბუნებრივია კრებით სახელებთან: მრავალრიცხოვანი ჭარი (სტუდენტობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, ინტელიგენცია და მისთ.). ასეთ სიტყვებთან არ გამოდგება მრავალი. მაგ. „მრავალრიცხოვანი სტუმრის შინაარსიან დასვენებას, კულტურულ გართობას საინტერესოდ უძღვება საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო“ („თბილ.“). სტუმარი აქ კრებითი შინაარსის მქონეა და ამიტომია შესაძლებელი ასეთი შესიტყვება: მრავალრიცხოვანი სტუმარი. როგორც კონკრეტული ერთეული საგნის აღმნიშვნელ სახელებთან, ისე მოქმედებისა და აბსტრაქტულ სახელებთან მრავალრიცხოვანი უადგილო ჩანს: მრავალრიცხოვანი ტურისტები, მრავალრიცხოვანი გამოკვლევა (წარმატება) და მისთ. შესიტყვებათა ნაცვლად ბუნებრივია: მრავალი ტურისტი, მრავალი გამოკვლევა (წარმატება). მაგრამ ეს საკითხი ყოველთვის ასე მარტივად ვერ მოგვარდება. ზოგჯერ საჭირო ხდება მთელი კონსტრუქციის შეცვლა. მაგ.: „ღაიწყო ფიგურების მრავალრიცხოვანი გაცვლა [უშვობესია: პრეტენდენტებმა მრავალჯერ გაცვალეს ფიგურები, ან: მრავალი ფიგურა გაცვალეს]“ („კომ.“). ვინაიდან მსაზღვრელი მრავალრიცხოვანი, ჩვეულებრივ, კრებითი შინაარსის მქონე საზღვრულს შეიწყობს, ამიტომ ზოგჯერ საზღვრული სახელი მრავლობითი რიცხვის ფორმით უხმარიათ: „საკონცერტო დარბაზმა ვერ დაიტია... ევროპიდან, ავსტრალიიდან, იაპონიიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი ტურისტები [უნდა იყოს: ტურისტი]“ („კომ.“).

მრავალრიცხოვან-ის სინონიმია დიდძალი (=ძალიან ბევრი, ძალიან დიდი რაოდენობისა), ოღონდ მისი გამოყენების არე უფრო შესაძლებელია. დიდძალი ბუნებრივი მსაზღვრელია მხოლოდ კრებითი მნიშვნელობის სიტყვებთან: დიდძალი ხალხი (მტერი), დიდძალი თან-

ხა (ქონება) და მისთ. ასახსნელი სიტყვა ასეთ შემთხვევებში ძალიან დიდი (დაუთვლელი) რაოდენობის სემანტიკის შემცველია, ამიტომ დიდძალი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი, არაკრებიითი შინაარსის ჩვეულებრივ სახელებთან მსაზღვრელად არ გამოდგება. მას შეიძლება შეენაცვლოს ბევრი ან ასახსნელი სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა. მაგ.: „ამ საფუძველზე ჩნდება მათ რვეულებში დიდძალი საინტერესო ჩანაწერები [უმჯობესია: ბევრი... ჩანაწერი]“ („სახ. გან.“); „გამომცემლობა ყოველწლიურად სცემს საბჭოთა მწერლობის დიდძალ საუკეთესო ნაწარმოებს [უნდა იყოს: საბჭოთა მწერლების მრავალ (ბევრ) საუკეთესო ნაწარმოებს]“ („ლიტ. საქ.“).

**მრავალტანჯული ისტორია.** მრავალტანჯული რთული ფუძის მქონე მიმღობაა ვნებითი გვარისა: ვისაც (რასაც) ბევრი ტანჯვა გამოუვლია, განუცდია; ფრიად ტანჯული. მაგალითად: „მადლობ, უფალო, რომ მომასწარ თბილისის განთავისუფლებას და გადმოხედე მრავალტანჯულ საქართველოს“ (ვ. ბარნ.); „წარმოშობით ქრისტიანი ჩანს და ლაზების მრავალტანჯული ტომის შვილი“ (დ. ჯანელ.); „მრავალტანჯულ იტალიას სხვა დროს იშვიათად რგებია ასეთი მძიმე ხვედრი: რომელიღაც კარლოსი, მერამდენიმეღაც ლუდოვიკო, შინაური ომები...“ (გ. დოჩან.); „ახლა აუტანლად ბინძურ და აშშორებულ შტკვარში იდგა მრავალტანჯული მეტეხის ციხე“ (ნ. დუმბ.).

გავრცელებული გამოთქმაა მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორია. ზოგჯერ ამ გამოთქმას კუმშავენ და ხმარობენ ასე: მრავალტანჯული ისტორია: „ქართველებმა მრავალტანჯული ისტორიის მანძილზე [უმჯობესია: მრავალტანჯულმა ქართველებმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე] დიდი ვაების ფასად ისწაულეს, რას ნიშნავს მეგობრობა“ („კომ.“).

მართალია, ქართული ენისათვის უცხო არ არის ფრაზის შეკუმშვა, სიტყვის გამოტოვება (ელიფსი), მაგრამ გამოტოვებული სიტყვა, როგორც ცნობილია, ტვირთავს მეზობელ სიტყვას თავისი მნიშვნელობითაც, მთლიანად ფრაზა კი ყველსათვის გასაგები და ნათელი რჩება: (მაგ.: ელიფსის ნიშუშებია: «ფეხს აუჩქარებს, ღვინის მსმელი, ტანისამოსის მკერავი, საყაბე ქსოვილი და სხვა). ზემოთ მოყვანილ წინადადებაში კი სიტყვა ქართველები, რომელსაც ეკუთვნის მსაზღვრელი მრავალტანჯული, ფრაზიდან არ ქრება, მსაზღვრელი გადაადგილებულია, ხოლო ახალმიღებული სინტაგმა — მრავალტანჯული ისტორია — უხერხულ, გაუმართავ გამოთქმას ქმნის.

მსგავსივე არასწორი გამოთქმაა მრავალჭირნახული წარსული. მრავალჭირნახული შეიძლება იყოს ქვეყანა, ხალხი და არა მისი წარსული. მაგ.: „საქართველოს მრავალჭირნახული წარსული [უნდა

იყოს: მრავალჭირნახული საქართველოს, ან: ქართველი ხალხის წარსული] ბევრ, ჩვენთვის საინტერესო ამბავს ინახავს...“ („კომ.“).

**მსუზმეი ბანაჩენი** უმართებულო შესიტყვებაა, რომელიც ენაცვლება **ლმოზიერ განაჩენს**. იხ. **განაჩენი**.

**მცდელობა** ნიშნავს: რისამე გაკეთების, რისამე შესრულების ამოცანას, ამოცანა სწრაფვას რისამე გაკეთებისადმი, რისამე შესრულებისადმი. ამ სახელზმნას განსაკუთრებით მარჯვედ იყენებს თანამედროვე იურისპრუდენციის ენა: გატაცების მცდელობა, მკვლელობის მცდელობა, თავდასხმის მცდელობა, გაძარცვის მცდელობა... მაგ.: „ავტოტრანსპორტის (მოტოციკლეტის) გატაცების მცდელობისათვის დააკავეს მესამე კურსის სტუდენტი...“ („ახ. კომ.“); „სტრაუდმა შეადგინა მამხილებელი საბუთი, რომლის ძალითაც ციხეების ბიუროს ბრალი ედებოდა მისი მოკვლის მცდელობაში“ („ცისკ.“); „რუსიელი კოლმეურნეები მკაცრ სასჯელს მოითხოვენ დამნაშავე ძმების მიმართ... დარაჯზე თავდასხმის მცდელობისათვის“ („გამარჯვ.“); „გაძარცვის მცდელობას წინ უძღოდა უსაქმურობა და ლოთობა“ („ჭიათ. მალ.“)... მსგავს კონტექსტებში ხშირი გამოყენება, შესაძლოა, გახდა იმის მიზეზი, რომ აღნიშნული სახელის სემანტიკამ, რომელიც თავისთავად ნეიტრალური უნდა ყოფილიყო, ერთგვარი უარყოფითი ნიუანსი შეიძინა და ბოლო დრომდე ბუნებრივ მეტყველებაში, ძალდაუტანებელ, არასტილიზებულ მსჯელობაში იგი იშვიათად იხმარებოდა, — საჭირო შემთხვევაში მის ენაცვლებობა **ცდილობენ**, **სცდიან**, **სცადეს** და **მისთ. ზმნები**.

შედარებისათვის შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ სიტყვის რუსულ შესატყვისს — **попытка**-ს არ ახლავს ის უარყოფითი ნიუანსი, რომელიც ქართულში ერთმანეთისგან განასხვავებს **ცდას** და **მცდელობას**, ალბათ იმიტომ, რომ **попытка**, ქართული **მცდელობისგან** განსხვავებით, არასოდეს გასცილებია ფართო მოხმარების სფეროს, ის **ცდაც** არის და **მცდელობაც** (იხ. რქლ).

უკანასკნელ ხანს სალიტერატურო ენაში შეიმჩნევა აღნიშნული სიტყვის გააქტიურების ტენდენცია. იგი უფრო ფართოდ გამოიყენება პრესის ენაში, განსაკუთრებით დიდაქტიურ-აღმზრდევლობითი ხასიათის, პოლიტიკურ და სპორტულ ინფორმაციებში, მაგრამ ამ შემთხვევათა მხოლოდ ერთი ნაწილის გამართლება თუ შეიძლება თანამედროვე ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით, ნაწილი კი სრულიად მიუღებელია. მაგ.: „რაც თავი მახსოვს, სულ ეს პრობლემა დგას, სურვილიც დიდია, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მცდელობაც, მაგრამ დღემდე ვერაფერი მოხერხდა“ („ლიტ. საქ.“); მთელი მისი ამ მცდელობიდან არაფერი არ გამოდის“ („მნათ.“); „ქადაგი ცდილობდა მზე-



რით დაეფერფლა თავი, მაგრამ მის მცდელობას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია პატარა ნადირზე“ („ცისკ.“); „მათ თითქოს ჰქონდათ იმის მცდელობა, რომ შეტევითი ფეხბურთი ეჩვენებინათ“ („ლელო“); „მასპინძლებს შეტევითი თამაშის მცდელობა ჰქონდათ“ („ახ. კომ.“)...

მიუხედავად იმისა, რომ გამოყოფილ სახელზმნებს ამ წინადადებებში ერთგვარი ხელოვნურობის ელემენტი შეაქვთ (კარგი მოქართულე მათ ალბათ ბევრგან შეეცლიდა სხვა სახელზმნებით, როგორცაა მონდომება, ზრუნვა, მოწადინება...), მათი შეწყნარება მაინც შესაძლებელია, რადგან ამ კონტექსტების მიხედვით მცდელობა სიტყვას ასეთე ისე შენარჩუნებული აქვს კავშირი თავის ძირეულ მნიშვნელობასთან (მცდელობა — უშედეგო, ამაო ცდა). უმართებულო და სტილისტიკურად დასახვეწია ის წინადადებები, სადაც სახელი მცდელობა ან უსაფუძვლოდ ენაცვლება სხვა სიტყვას, ან საერთოდ უადგილოდ, არასწორადაა მოხმარებული. მაგ.: „რამდენი მცდელობა [უნდა იყოს: ზრუნვა] დაგვეჭირდა იმ უბრალო საქმის გამო, რომ მწერალთა კავშირში ომში დაღუპულთა დაფა მოგვეწყოს“ („ლიტ. საქ.“); „რამდენ უსამოქმედო მოგვეჩანს ეს უბედურება (ლაპარაკია ნარკომანიაზე), თუ იგი ჩემი, შენი, ჩვენი, საზოგადოების ყველა წევრის, ყველა ოჯახის... დიდისა და პატარის დიდი მცდელობით [უნდა იყოს: დიდი მონდომებით] ძირიანად არ ამოვგლიჯეთ იქ, სადაც უკვე აღმოცენდა...“ („თბილ.“); „რომელ მშობელს უნდა, რომ მისი შვილი ქურდი გამოვიდეს, მაგრამ სურვილი თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ მას საქმე და მცდელობა [ზედმეტია] არ მოჰყვა“ („ახ. კომ.“); „აქ ყველაფერი ჩვენია, საერთო იარაა, საერთო წყლულია და მცდელობაც მისი განკუთრებისა [უნდა იყოს: ცდაც მისი განკუთრებისა, ან: ზრუნვაც მის განსაკუთრებლად] საერთო უნდა იყოს“ („თბილ.“); „ამ მიზნით კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი მცდელობა [უნდა იყოს: მთელი ყურადღება] გადატანილია იქითკენ, რომ პატრიოტული გრძნობის, სულისკვეთების ჩანერგვა მოზარდში იწყებოდეს სკოლის მერხიდან“ („ახ. კომ.“); „გაძლიერდეს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა მცდელობა [ალბათ უნდა ვიგულისხმოთ: გააქტიურდეს... მონაწილეობა] ეკოლოგიის... საკითხების გადაწყვეტაში“ („ახ. კომ.“); „...მაღალხარისხიანი საქონლის წარმოება მოითხოვს ახალგაზრდა კონსტრუქტორთა, დამპროექტებელთა, დიზაინერთა და იმათი მცდელობის [ალბათ ივარაუდება: ძალების] გაერთიანებას, ვინც უშუალოდ აწარმოებს პროდუქციას“ („ახ. კომ.“)...

**მცნება — ცნება.** მცნება აღნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივი ხასიათის ბიბლიურ გამონათქვამს (ათი მცნება, მერვე მცნე-

(რ. ჯაფარი.) და მისთ. აღსანიშნავია ისიც, რომ, რაც შესაწყნარებელია პოეზიის ენაში, შეუფერებელი ან მიუღებელია პროზის ენაში, რომელიც რითმა-რიტმით გამოწვეულ შეზღუდვებს არ (ან ნაკლებ) ემორჩილება.

იშვითად ტავტოლოგიურ სინტაგმაში პირმშო შვილი, როცა ის გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით იხმარება, ზედმეტია მხოლოდ პირმშო. მაგ.: „ამბობენ, ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის პირმშო [ზედმეტია] შვილიაო“ (დ. ბენაშვილი).

ანალოგიურ კონტექსტებში დასაშვებია მაგალითები: „ვერიკო ან-ჯაფარიძე და აკაკი ვასაძე, კ. მარჯანიშვილის პირმშონი, აგერ ახლა შეხვდნენ ერთმანეთს იბსენის „მოჩვენებებში“ („ლიტ. საქ.“); „კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის პირმშოა“ („ახ. კომ.“); „ამ საზღში თითქოს ყველაფერს მოსაგს გარდასულ დღეთა ნათელი და მადლი. თავად კი ამ დღეთა პირმშოა, ჩინებული აღმზრდელი, შემოქმედი და მამა სამი ვაჟისა“ („ახ. კომ.“); ჩვენი ქვეყნის საერთო წინსვლასთან ერთად გაიზარდა, დავაუკაცდა და დაწინაურდა მისი პირმშო სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-სასწავლო კერა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ალ. ბარამ.); „თბილისის უნივერსიტეტის პირმშო [საუბარია თსუ გამომცემლობასა და სტამბაზე] („სამშ. — სათ.“); „გემთმშენებლობა საბჭოთა საქართველოს პირმშოა და იშვა კოლხეთის საამაყო ფოთში („სამშ.“); „ტაქსი საკმაოდ ნახმარი იყო. მოსკოვის ცენტრში, მოკრიალებულ ასფალტზე, სასწაულებრივ ჯაყჯაყებდა და სრულიად არ ჰგავდა ტექნიკური პროგრესის პირმშოს“ („ახ. კომ.“) და სხვ.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა პირმშოს გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: 1. ძირითადი მნიშვნელობით პირმშო აღნიშნავს მხოლოდ პირველშობილს, პირველად შეძენილ შვილს; 2. პირმშო შვილი და პირველი პირმშო ტავტოლოგიური შესიტყვებებია; 3. დასაშვებია პირმშოს გადატანითი მნიშვნელობით, ფიგურალურად გამოყენება, თუ მას არ ახლავს მსაზღვრელებად აზრობრივად შეუფერებელი სიტყვები (პირველი, უპირველესი, ბოლო და მისთ.).

**პირნათლად გაამართლებს ნდობას.** თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესად პრესისა და ოფიციალურ-საკანცელარიო ხასიათის მასალების ენაში ხშირად სახმარი გამოთქმებია: დავალებას (სიტყვას, დაპირებას) შეასრულებს და ნდობას გაამართლებს. პირველ გამოთქმაში (დავალებას შეასრულებს) ხმნას შეიძლება დაერთოს ზმნისართი პირნათლად, რომელიც ნიშნავს: კეთილსინდისიერად, პატიოსნად. იგი ქმნის მყარ გამოთქმებს შეასრულა.

და, მძიმედ შეურაცხყოფდა. მაგ.: „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკი — კომისარიატი და სემი — ახალ მძიმე სიძნელეებს [უნდა იყოს: დიდ სიძნელეებს] უქმნიან გამარჯვებულ ზალხს...“ („ცისკ.“); „...როცა გამოედვიდა, მძიმე [უნდა იყოს: ძლიერ] თავის ტკივილს და მთელ სხეულში საშინელ სისუსტეს გრძნობდა“ (ი. იაშვი., თარგმ.); „ლაშამ მარჯვე სვლა გააკეთა, კომნენი მძიმედ [უნდა იყოს: ღრმად] ჩაფიქრდა“ (გ. აბაშ.); „და ის, რომ სტელა არ იზიარებდა მის სიამაყეს, ალბათ, მძიმედ [უნდა იყოს: დიდად, ძლიერ] შეურაცხყოფდა როულს“ (ბ. ბუაჩ., თარგმ.).

ცალკე გამოიყოფა ისეთი შემთხვევები, როცა ზედსართავი მძიმე სწორად შეეხამება საზღვრულს, მისგან ნაწარმოები ზმნისართი მძიმედ კი შეუფერებელ სიტყვათშეხამებას წარმოქმნის. მაგ., მძიმე ავადმყოფი სწორი, მართებული შესიტყვებაა, მაგრამ მძიმედ არის (გახდა) ავად — გაუმართავია. მაგ., „...მეფე მძიმედ არის ავად“ (დ. ქადაგ., თარგმ.); „ბიძი ასტურა მძიმედ გახდა ავად“ (ა. დავით., თარგმ.). ასეთ შემთხვევებში მძიმედ ზმნისართის ნაცვლად აჯობებდა ძალიან ან ძლიერ ზმნისართის ხმარება, ოღონდ, ამასთანავე, საჭირო ხდება სიტყვათა გადაადგილებაც, მაგ., ასე: ძალიან ავადაა, ძალიან/ძლიერ ავად გახდა. შდრ.: „ეს საწყალი კურდღელი ძლიერ ავად გაგვიხდა“ (ნ. დუმბ.).

მაშასადამე, მძიმე, მძიმედ ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება დიდი (დიდად), ღრმა (ღრმად), ძლიერი (ძლიერ), ძალიან სიტყვების ნაცვლად, თუმცა არავითარი საფუძველი არ არსებობს ამგვარი მონაცვლეობისათვის.

**მწვავე; მწვავედ.** სიტყვა მწვავე წვავს ზმნისგან ნაწარმოები მიმღეობაა. ჩვეულებრივ, იგი მსაზღვრელად ახლავს სიტყვას და ნიშნავს: მწველი, ცხარე ან მკვეთრი თვისების მქონე. ამ მიმღეობისაგან ნაწარმოები ზმნისართიც მწვავედ შესაბამისი მნიშვნელობისაა: ცხარედ, მწველად, მეტისმეტად ძლიერად, შემაწუხებლად. გადატანიით მნიშვნელობით დასახელებული სიტყვები ეხამება ტკივილისა და ბრძოლის აღმნიშვნელ სიტყვებს: მწვავე ტკივილი (შესაბამისად — მწვავედ სტკივა); მწვავე ბრძოლა. მაგ.: „განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს“ (ვაჟა); „ძილში წელის მწვავე ტკივილი ეივრძენი“ (რ. გვეტ.).

კრიტიკულ-პუბლიცისტური სტილის ნაწერებში ნათქვამისათვის მეტი ემოციურობისა და ექსპრესიულობის მისანიჭებლად ხშირად სიტყვა მწვავე და შესაბამისი ზმნისართი მწვავედ იმგვარ სახელებთან და ზმნებთანაც შედიან შესიტყვების წევრად, რომელთა შინაარსი ვერ იკუთხება მწველი, ცხარე ან მწველად, ცხარედ სიტყვათა მნიშვნელობებს.

სახელდობრ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სიტყვები **შეკითხვა** და **მასალა** მსაზღვრელად იგუებს სახელებს: საჭირობოროტო, მტკივნეული, დამაფიქრებელი, პოლემიკური, კრიტიკული და ა. შ. ხოლო ზმნებს აყენებს, **გამოეხმაურა** და **ილაპარაკა** ზმნისართად შეეწყობა სიტყვები: აშკარად, მოუხრიდებლად, დაუფარავად, მტკივნეულად, მხურვალედ, გულწრფელად, კრიტიკულად და ა. შ. თანამედროვე პრესისა და კრიტიკული ლიტერატურის ენაში დადასტურებული გამოთქმები — **მწვავე შეკითხვა**, **მწვავე მასალა**, **მწვავედ გამოეხმაურა** და **მწვავედ ილაპარაკეს** — უსწორო სიტყვათშეხამებათა ნიმუშებია და ისინი **მწვავე**, **მწვავედ** სიტყვების მნიშვნელობათა გაუთვალისწინებლობის შედეგადაა შეთხზული. მაგ.: „ნება მიბოძეთ, რამდენიმე **მწვავე** [უმჯობესია: საჭირობოროტო, აქტუალური, მტკივნეული] **შეკითხვა** მოგკეთო“ („კომ.“); „ამას წინათ „კომუნისტში“ **მწვავე** [უნდა იყოს: კრიტიკული, პოლემიკური ან სადავო] **მასალა** დაიბეჭდა: „კინოთეატრებს ენა რომ ჰქონდეთ!“ („კომ.“); „ილია ჭავჭავაძის დაღუპვას ასე **მწვავედ** [უნდა იყოს: ვულისტკივილით, თანაგრძობით] **გამოეხმაურა** იმდროინდელი უკრაინული პრესა, უკრაინელი საზოგადოებრიობა“ („კომ.“); „კომუნისტებმა **მწვავედ ილაპარაკეს** კოლექტივში იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ [უნდა იყოს: მოუხრიდებლად ან დაუფარავად აშხილეს... აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებები]“ („თბილ.“).

**მხარი.** თანამედროვე ქართულში სახელი **მხარი** მრავალი ფიგურალური გამოთქმის წევრად შეიძლება შეგვხვდეს. ესენია: მხარში ამოუღვება, მხარს მისცემს, მხარს უსწოროებს, მხარს მოაბამს და ა. შ., რომელთა ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობაა: რაიმე საქმიანობაში გვერდში ამოუღვება, რაიმეში აჭყვება, მხარს მისცემს, დაეხმარება; შრომაში, ბრძოლაში გაუტოლდება, შეეშველება რაიმეში, თანამგრძობი გაუხდება და ა. შ.

ამავე მნიშვნელობის გადმოსაცემად თანამედროვე პრესის ენაში ყველაზე უფრო გავრცელებულია შედარებით ახალწარმოქმნილი, ბუნდოვანი კონსტრუქციის ფიგურალური გამოთქმა **მხარს უბამს** (მხარი აუბა, მხარი ვერ აუბა, მხარი აება). მაგ.: „მან თანაგუნდელებს ღირსეულად **აუბა მხარი** [უმჯობესია: მისცა მხარი ან ამოუღვა მხარში]“ („კომ.“); „ათასი ტონა ყურანისათვის. ლაშქრობაში წითელწყაროს რაიონის მევენახეებს **მხარი ვერ აუბეს** [უმჯობესია: მხარი არ მისცეს ან მხარი ვერ გაუხსწორეს] არბოშიეკლმა და ჯაფარიძელმა მევენახეებმა“ („სოფლ. ცხოვრ.“) „ჩვენი საზოგადოების განუწყვეტელი წინსვლა... მსწავლეებლისაგან მოითხოვდა, რომ **მხარი აება** [უმჯობესია:

მხარი ესწორებინა ან ფეხი აეწყო] მისთვის, ყოველთვის ყოფილიყო ცხოვრებასთან“ („კომ.“).

არ არის გამართლებული, ამ მრავალნაირი გამოთქმის ხმარების არე ხელოვნურად შეიზღუდოს.

პრესის ენაში ამავე ლექსიკური მნიშვნელობის გამოსახატავად ზოგჯერ რამდენადმე სახეშეცვლილ შესიტყვებებსაც ხმარობენ: **მხარს უმაგრებდა**, **მხარი შეაშველა**, **მხარი აევლება**. მაგ.: „იგი მხარს უმაგრებდა [უნდა იყოს: მხარში ან გვერდში ედგა] ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს“ („ქართ. ლიტ.“); „ამ სიტყვაში იგულისხმება ისინიც, ვინც დროზე ვერ შეაშველა მხარი [უნდა იყოს: ვერ ამოუდგნენ მხარში] ტრესტის კოლექტივს“ („თბილ.“); „თავიდანვე ასე ღმერთგამწყრალი იყო ის ბიჭი. არადა მადლდათესილ საქმეს ძნელად აევლება მხარი“ [უნდა იყოს: აევლება გვერდი ან აქცევა მხარი]“ („ცისკ.“).

ხაზგასმული გამოთქმები ქართულსათვის არ არის ტრადიციული, ბუნებრივი. შესიტყვებების — **ზურგს უმაგრებს** და **მხარში უდგას** — შერწყმა-შეჯვარების საფუძველზეა შეთხზული **მხარს უმაგრებს**; **მხარს შეაშველებს** ორი ბუნებრივი გამოთქმის — **ხელს შეაშველებს** და **მხარს მისცემს** — კონტამინაციის გზითაა შექმნილი; ხოლო **მხარი აევლება** გამოთქმების — **გვერდს აუვლის** და **მხარს აუქცევს** — ასოციაციური დაკავშირების შედეგი უნდა იყოს.

## 6

**ნათლია** სიტყვასთან მსახდერელის ტავტოლოგიურად გამოყენების შესახებ იხ. პირველი.

**ნათლობა**. **ნათვლა** (<ნათლვა) საბასთან განმარტებულია, როგორც „უნათლავთ განათლება“. **ნათვლა** (მონათვლა) რელიგიური მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შედარებით იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირია **ნათლობა** სიტყვის ხმარება. მას თითქმის დაკარგული აქვს პირვეანდელი მნიშვნელობა და გამოიყენება მონათვლასთან დაკავშირებული წვეულების აღსანიშნავად. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში კი **მონათვლა** და **ნათლობა**, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთხელ შეიძლება იყოს, ამიტომ ის იქნება პირველიც და უკანასკნელიც.

როგორც ჩანს, ეს მნიშვნელობა დაედო საფუძვლად **ნათლობა** სიტყვის ფიგურალურად გამოყენებას, როცა ის აღნიშნავს რაიმე (საბრძოლო, რევოლუციურ, პედაგოგიურ თუ სხვ.) საქმიანობაში